გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მარშალ გელოვანის გამზ.N34
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 237 80 13
+995 32 237 80 44
info@mepa.gov.ge

10 დეკემბერი 2024

N 8940/01

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს,
ბატონ შალვა პაპუაშვილს

ბატონო შალვა,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024 წლის ანგარიშს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 19 მარტის #2-164 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის გაცემასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ჩინჩილაკაშვილი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ელექტრონული ფორმით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წარდგენა უზრუნველყოფილია სამინისტროს ელექტრონული პორტალისა (http://mepa.gov.ge/Ge/SubscribePublicInfo) და სამინისტროს ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (info@mepa.gov.ge) მეშვეობით, საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი''-სა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

2023 წლის 10 დეკემბრიდან 2024 წლის 10 დეკემბრამდე საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 159 განცხადება, მათ შორის, ელექტრონული ფორმით შემოსული განცხადებების რაოდენობა შეადგენს 138.

სამინისტროში შემოსული 159 განცხადებიდან:

85 შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო ფიზიკური პირი;
74 შემთხვევაში დაინტერესებული პირი იყო იურიდიული პირი, მათ შორის:
18 შემთხვევაში, განმცხადებელი იყო სამეწარმეო იურიდიული პირი;
20 შემთხვევაში-არასამეწარმეო იურიდიული პირი;
33 შემთხვევაში-სხვადასხვა მედია საშუალება;

3 შემთხვევაში-ადმინისტრაციული ორგანო.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემოსული 159 განცხადებიდან:

- სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში სრულად დაკმაყოფილდა 74 განცხადება;
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 7 განცხადება. მათ შორის, სხვა საკითხებთან ერთად:
  4 განცხადებაში მოთხოვნილი იყო პერსონალური ინფორმაცია;
  1 შემთხვევაში, პასუხის გაცემის დროისთვის, მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტი არ იყო დამუშავებული;
  1 შემთხვევაში სამინისტროს არ ჰქონდა მოთხოვნილი ფორმით ინფორმაციის დამუშავების ვალდებულება;
  1 შემთხვევაში, განმცხადებელი არ იყო მოთხოვნაზე უფლებამოსილი პირი.

- არ დაკმაყოფილდა განცხადება 13 შემთხვევაში.
- 62 განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის საფუძველზე, განსახილველად გადაეგზავნა შესაბამის სახელმწიფო უწყებას. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ეცნობათ განმცხადებლებს.
- 3 განცხადებაზე მიმდინარეობს წარმოება.

1 შემთხვევაში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე უარი გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მიმდინარეობს საქმისწარმოება.

სამინისტროს ცენტრალურ აპარატში შემოსული განცხადებები ძირითადად შეიცავდა ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნას.

ხშირად მოთხოვნილი იყო შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

-ინფორმაცია ნარჩენების მართვის ბაზის და ამ ბაზაში არსებული ყველა პირის მიერ შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესახებ;
-წარმოებული სასამართლო დავების შესახებ;
-საქართველოს რეგიონებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ;
-უკანონო ნადირობის, თევზჭერისა და ხე-ტყის უკანონო მოპოვების ფაქტების შესახებ;
-გაცემული სახელფასო დანამატებისა და პრემიების შესახებ;
-თანამშრომელთა მიღებისა და კონკურსის ჩატარების შესახებ;
-ტყის მართვის გეგმების წარმოდგენის შესახებ;
-კლიმატის ცვლილების შესახებ განხორციელებული პროექტების შესახებ;
-სასოფლო-სამეურნეო პროექტებში გახარჯული თანხების შესახებ;
-სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილების შესახებ;
-საჯარო მოხელეებზე გაცემული პრემიებისა და კანონით გათვალისწინებული დანამატების ოდენობის შესახებ;
-დისციპლინური გადაცდომების სტატისტიკა წლების მიხედვით;
-იმ კომპანიების შესახებ ინფორმაცია, რომელთა საქმიანობაც ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ა.შ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემისა და უარის შემთხვევაში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურენოების სამინისტრო ხელმძღვანელობდა საქართველოს კონსტიტუციის, „პერსონალურ მონაცემთა

დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი მუხლებით.

მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებდა საჯარო ინფორმაციის გაცემასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ასევე უზრუნველყოფილია ინფორმაციის პროაქტრიულად გამოქვეყნების გზით სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (mepa.gov.ge).

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ წარმოადგენს კოლეგიურ საჯარო დაწესებულებას. შესაბამისად, სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილებები არ იყო მიღებული საანგარიშო პერიოდში.

საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.

სამინისტროს ცენტრალური აპარატის ცალკეული სტრუქტურული ერთეულები, მათთვის დებულებით დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ პერსონალური მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და შენახვას. უწყებაში პერსონალური მონაცემები დაცულია, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში (edoc) ინახება ელექტრონული ფორმით არსებული პერსონალური მონაცემები, რომლებსაც განმცხადებელი უთითებს მის მიერ წარმოდგენილ განცხადებაში. პერსონალურ მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც, მათი სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე, მინიჭებული აქვთ ამგვარი მონაცემების დამუშავების და შეგროვების უფლებამოსილება. სამინისტროს მიერ მიღებულია შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური და ინფორმაციული ზომები, რომლითაც უზრუნველყოფილია, როგორც ელექტრონულ სისტემაში არსებული, ასევე მატერიალური სახით დაცული პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება, რაც გამორიცხავს არაუფლებამოსილი პირებისთვის პერსონალურ მონაცემებზე წვდომას. სამინისტროს მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვებასთან, დამუშავებასთან, შენახვასა და გადაცემასთან დაკავშირებული წარმოება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' მე-3 თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

https://edocument.ge/mea/public/#/8940-01-2-202412101612

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE